



სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას
მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

მოსარჩელე: შენიშვნა-1

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"				
2. ზაზა წიკლაური				
3. შოთა ბურუკური				
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)	<i>შენიშვნა-2</i>	

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

				1. greenalt@greenalt.org
--	--	--	--	--------------------------

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოსარჩელის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

ნინო გუჯარაიძე		თბილისი, ფალიაშვილის ქ. №39ბ, ბინა 4;
ირმა მახათაძე 3354		თბილისი, საბურთალოს ქ. №7/19
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

--	--	--	--	--

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

მოპასუხე: შენიშვნა-5

1. საქართველოს მთავრობა;		თბილისი, ინგოროყვას ქ. №7
2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო		თბილისი, გულუას ქ. №6
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი)

შენიშვნა-6

--	--	--	--	--

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

--	--	--	--	--

შენიშვნა-8

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლო დანაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-9*

სახელი, გვარი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.

სამსახურის ტელ.

მობილური

ფაქსი

ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-10

დავის საბანი

შენიშვნა-11

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ქვემოთ მიუთითეთ თქვენს კანონიერ ინტერესზე, თუკი გსურთ აღიარებითი სარჩელის აღძვრა.

დავის არსის მოკლე მიმოხილვა

შენიშვნა-13

2016 წლის 19 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარადგინა შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში.

2016 წლის 16 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შედგა შეხვედრა, სადაც უნდა მომხდარიყო შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის განხილვა. შეხვედრის შესახებ წინასწარ განცხადება არ გაკეთებულა. შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ მხოლოდ ის მოქალაქეები, ვინც წინასწარ წერილობით მოითხოვა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

2016 წლის 27 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა გამოსცა ბრძანება №ი-260 „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“.

2016 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავრობას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ", ზაზა წიკლაურმა, შოთა ბურჯუაძემ და მოითხოვეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის №ი-260 ბრძანების ბათილად ცნობა „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკლაურის, შოთა ბურჯუაძის ადმინისტრაციული საჩივარი სზაკ-ის 185-ე მუხლისა და 84.4 მუხლის საფუძველზე დატოვებული იქნა განუხილველად.

ამდენად, წინამდებარე სარჩელი წარმოადგენს მოსარჩელების დარღვეული კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვის ერთადერთ სამართლებრივ საშუალებას.

დავის ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15 შენიშვნა-16

1. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 19 აპრილს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარადგინა შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში.

მტკიცებულება:

ა. დანართი 1: სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი მასალები

2. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 16 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შედგა შეხვედრა, სადაც უნდა მომხდარიყო შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის განხილვა. შეხვედრის შესახებ წინასწარ განცხადება არ გაკეთებულა. შეხვედრაზე მიწვეულები იყვნენ მხოლოდ ის მოქალაქეები, ვინც წინასწარ წერილობით მოითხოვა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა.

მტკიცებულება:

ა. დანართი 2: 2016 წლის 16 მაისის შეხვედრის ოქმი და ვიდეო ჩანაწერი

3. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 23 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, 2016 წლის 17 მაისს სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, უნდა ჩატარებულიყო შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის (712 ფურცლიანი დოკუმენტის) საჯარო განხილვა. თუმცა, როგორც შეხვედრაზე გაირკვა, არ იგეგმებოდა გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა და შეხვედრა, მხოლოდ 2016 წლის 16 მაისის შეხვედრის გაგრძელება იყო. შეხვედრაზე სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენელმა დამსწრეებს წარუდგინა ინგლისურ ენაზე მომზადებული პრეზენტაცია ელექტრომაგნიტული ველის შესახებ.

ვერც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს წარმომადგენლებმა და ვერც პროექტის განმახორციელებელმა ვერ გასცეს დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს ზუსტი პასუხი გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტში (მაგ. პროექტის საჭიროების შესახებ, ან მარშრუტის ალტერნატივების შესახებ) წარმოდგენილი ინფორმაციის შესახებ; როგორც გაირკვა არცერთ მათგანთან თან არ ჰქონდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რომლის თითქოსდა „საჯარო განხილვაზეც“ მიიწვიეს დაინტერესებული პირები.

მტკიცებულება:

ა. დანართი 3: სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება, 2016 წლის 23 მაისის შეხვედრის ოქმი და ვიდეო ჩანაწერი

4. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 24 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსმა თამარ შარაშიძემ დაამტკიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა №27 - 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია:

„2. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს: ავარიული სიტუაციების მართვის დეტალური გეგმა, სადაც ასევე ასახული იქნება ინფორმაცია ეგზ-ს ტექნიკური ავარიის (მ/შ სადენების გაწყვეტის, ანძების წაქცევის) შემთხვევაში მოსახლეობაზე ზემოქმედების სახეების და შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;

- დაგეგმილი მისასვლელი გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: თითოეული მონაკვეთის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაცია; მიწის ფართობის, საკუთრების ფორმისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაცია; ნიადაგურ დახასიათებას; ძირითად ტექნიკურ პარამეტრებს; გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებს; ეროზიის საწინააღმდეგი ღონისძიებებს; გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელ/საკომპენსაციო ღონისძიებებს.

მტკიცებულება:

ა. დანართი 4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

5. ფაქტობრივი გარემოება

- სამშენებლო ბანაკ(ებ)ისა და სამშენებლო მოედნ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს: ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციას; მიწის ფართობის, საკუთრების ფორმისა და კატეგორიის შესახებ ინფორმაციას; ნიადაგურ დახასიათებას; სიტუაციურ და სქემატურ ნახაზებს, ფართობისა და მასზე განთავსებული ობიექტების პარამეტრების მითითებით და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპების გარემოსდაცვითი მართვის დეტალური გეგმა.

3. იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო გზის მშენებლობა გამოიწვევს საკომუნიკაციო ობიექტების გადატანას, უზრუნველყოს აღნიშნული კომუნიკაციების მფლობელებთან შეთანხმება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გარემოზე ზემოქმედების ნებართვას დაქვემდებარებული ობიექტების ტრასის ცვლილება - უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებული პროცედურების გავლა;

4. იმ შემთხვევაში, თუ ეგზ-ს მშენებლობა გამოიწვევს არსებულ ქვესადგურ „ქსანი“-ში დამატებით სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, აღნიშნული დაექვემდებარება „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურის გავლას;

მტკიცებულება:

ა. დანართი: 4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

6. ფაქტობრივი გარემოება

5. ყაზბეგის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით განსაზღვრული სპეციალური დანიშნულების ტყითსარგებლობის ნებართვის მიღება;

6. არ განახორციელოს ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ზონაში ეგზ-ს სამშენებლო სამუშაოები (მ/შ ტექნიკის გადაადგილება);

7. ვინაიდან ეგზ-ს ტრასის დერეფანი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული საკითხი უნდა შეათანხმოს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;

8. ეგზ-ს მშენებლობის დაწყებამდე განახორციელოს ეგზ-ს ტრასის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, მათ შორის ეგზ-ს ანძების განთავსების დეტალური შესწავლა. გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით დაადგინოს პრობლემური უბნები და შეიმუშაოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. აგრეთვე, განახორციელოს ეგზ-ს არეალში არსებული გეოდინამიკური პროცესების შესწავლა და შეიმუშაოს შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებები“;

მტკიცებულება:

ა. დანართი: 4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

7. ფაქტობრივი გარემოება

„10. ეგზ-ს მშენებლობის დაწყებამდე, განახორციელოს ზოოლოგიური კვლევები. კვლევის შედეგები შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების აღწერით წარმოადგინოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;“

„12. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე განსაზღვროს ჭრას დაქვემდებარებულ მცენარეთა როდენობა სახეობების მიხედვით. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებთან მიმართებით ქმედებები განახორციელოს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ საქართველოს კანონი შესაბამისად“.

მტკიცებულება:

ა. დანართი: 4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა

8. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 27 მაისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა გამოსცა ბრძანება №ი-260 „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“.

მტკიცებულება:

დანართი 5. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260 „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“

9. ფაქტობრივი გარემოება

2016 წლის 15 ივნისს "მწვანე ალტერნატივა"-ს ჩაბარდა საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 14 ივნისის № 4656 წერილი, რომლითაც გადაეცა „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის №ი-260 ბრძანებისა და მისი გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი.

მტკიცებულება:

დანართი 6. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 14 ივნისის № 4656 წერილი

10. 2016 წლის 14 ივლისს საქართველოს მთავრობას ადმინისტრაციული საჩივრით მიმართეს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-მ, ზაზა წიკლაურმა, შოთა ბურჟუკურმა და მოითხოვეს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის №ი-260 ბრძანების ბატილად ცნობა „შპს „ენერგოტრანსი“-ს 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“.

მტკიცებულება:

დანართი 7. 2016 წლის 14 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი

11. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკლაურის, შოთა ბურჟუკურის ადმინისტრაციული საჩივარი სზაკ-ის 185-ე მუხლისა და 84.4 მუხლის საფუძველზე დატოვებული იქნა განუხილველად.

მტკიცებულება:

დანართი 8. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილება.

სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლები

შენიშვნა-17 შენიშვნა-18 შენიშვნა-19

1. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260 „შპს „ენერგოტრანსის“ 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის განთავსებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260 ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა - 500 კვ ძაბვის ქსანი-სტეფანწმინდას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსლუატაციისათვის.

3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260 გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა 2016 წლის 27 მაისის ბრძანების №ი-260 გამოცემისას დაარღვია:

4. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა

საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე. მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:
 - I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
 - II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
 - III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
 - IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის გან სახილველვად;
 - V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
 - VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;
- ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე;

- ა) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამო ნაბოლქვების შეფასების ჩათვლით;
- ბ) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;
- ც) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;
- დ) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
- ე) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
- ფ) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2016 წლის 16 და 23 მაისს ჩატარებულ შეხვედრებს არაფერი ჰქონია საერთო საჯარო განხილვასთან. ამ შეხვედრების ორგანიზებისას არ ყოფილა დაცული არც ორჰუნის კონვენციით დადგენილი მოთხოვნები და არც საჯარო განხილვისთვის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე დარღვეულია მითითებული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც ითვალისწინებს ზემოთაღნიშნული დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იშუუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

5. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4 ქვეპუნქტის (გ) ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ნებართვის მაძიებელმა მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად შედგენილი გზმ-ის ანგარიში.

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, კი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს;
- ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას;

- გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს;
- დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;
- ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;
- ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;
- ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;
- თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას;
- ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;
- კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას;
- ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას;
- მ) პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას;
- ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას;
- ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);
- პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები);
- ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;
- რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა.

განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი არ მოიცავდა ზემოთჩამოთვლილ ინფორმაციას, რასაც მოწმობს 2016 წლის 24 მაისის ეკოლოგიური ექსპერტიზის №27 დასკვნის პირობები - საქმიანობის განმახორციელებელს დაევალა თითქმის ყველა საკითხზე ინფორმაციის წარმოდგენა მშენებლობის დაწყებამდე.

თავად განსახილველ დოკუმენტში არაერთხელ არის აღნიშნული, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეუძლებელია იმის გამო, რომ პროექტი არ არის ბოლომდე შემუშავებული. მაგალითად: ტომი II, გვერდი 31: „ტექნიკური მონაცემები

- ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვტ-იანი ელექტროგამცემი ხაზის სიგრძე დაახლოებით 100 კმ-ია;
- ღლის მდგომარეობით, ცნობილია ელექტროგამცემი ხაზის ანძების განლაგების 208 სავარაუდო წერტილი (შემდგომში “ანძების რეკომენდებული წერტილები” ან “ანძების წერტილები”);
- კუთხის ანძების რაოდენობა – უცნობია;
- ნომინალური მანძილი ანძებს შორის – მითითებული არ არის;
- ჯაჭვების (შლიეფების) რაოდენობა – ორი;
- კაბელები – ალუმინის;
- ანძი – ვერტიკალური, ცხაურიანი, ერთწრედიანი, ორშლიეფიანი.

ტექნიკური პროექტის ზოგიერთი დეტალი ჩვენთვის ჯერაც უცნობია. მაგალითად:

- ახალი მისადგომი გზების რაოდენობა და მათი მდებარეობა; თითოეული
- გზის სიგრძე და სიგანე;
- მასალების შესანახად განკუთვნილი უბნების რაოდენობა და სიფართო
- (გროვები, დამხმარე ნაგებობების მოწყობა და სხვ.);
- სამშენებლო სამუშაოების დრო კონკრეტულ უბნებზე და სხვ.
- მიწის ზედაპირის წმენდის სამუშაოები;
- იზოლაციის კონკრეტული ტიპი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ ანძებს შორის არსებული მანძილისა და მათ შორის მიწის ზოლის ზედაპირის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით, შეიძლება, ითქვას, რომ ქსანი-სტეფანწმინდის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის ავტორებს ანძების ყველა საჭირო წერტილი რუკებზე დატანილი არ აქვთ. მიწის ზედაპირის წმენდითი სამუშაოები, "ფაზათშორისი" მანძილი, ანძებისა და იზოლატორის ზუსტი ტიპები მოწოდებულ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის. არაფერია ნათქვამი ფრინველების დამცავ ტრავერსაზე იზოლატორების გირლანდებს ზემოთ, რათა თავიდან იქნას აცილებული ფრინველების დაფრენა ტრავერსაზე იზოლატორებს ზემოთ. უცნობია შემოთავაზებული ხრემის მუდმივი და დროებითი მისასვლელი გზების რაოდენობა, მდებარეობა და სიგრძე“.

ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან უნდა ერთოდეს:

ბ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები, ძირითად უთანხმოებათა აღწერით (ასეთის არსებობის შემთხვევაში); - არ ახლავს;

გ) გარემოზე მოსალოდნელი ზეგავლენის შერბილების ღონისძიებათა გეგმები; - ზეგავლენების შერბილების ღონისძიებები ვერ იქნება წარმოდგენილი ზეგავლენის შეფასების გარეშე;

დ) ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმები ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით; - არ ყოფილა წარდგენილი;

ზ) მოკლე ცნობები პროექტის განხორციელების მიზნებისა და მისი განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაზე; - არ ყოფილა წარდგენილი

თ) ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები, ალტერნატიული ვარიანტების გათვალისწინებით; - არ ყოფილა წარდგენილი

ნ) დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატიული ვარიანტები Iმ (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით და აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ ინფორმაცია, რაც არ ყოფილა წარდგენილი.

6. წინა პუნქტში ჩამოთვლილი გარემოებების გათვალისწინებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ასევე დაარღვია „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად „ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი დოკუმენტაცია:

ა) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;

ბ) ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;

გ) ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს (მათ შორის, ავარიული სიტუაციების შესაძლო შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებს).

ჩამოთვლილთაგან არათუ ყველა (როგორც ამას კანონი ითხოვს), არამედ არცერთი მოთხოვნა ყოფილა დაცული. კერძოდ: წარმოდგენილი დოკუმენტი არ მოიცავდა გზმ ანგარიშისათვის სავალდებულო ინფორმაციას; პროექტის ზემოქმედება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ ყოფილა შეფასებული დაზუსტებული პროექტის არ არსებობის გამო; ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ნაცვლად წარდგენილი იყო თეორიული დოკუმენტი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს გეგმა.

7. "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული ეკოლოგიური ექსპერტიზის ყველა ძირითადი პრინციპი, კერძოდ:

ა) საქმიანობის პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება;

გ) გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმების გათვალისწინება;

ე) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობა და კანონიერება;

ვ) საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება.

7. ეკოლოგიური ექსპედიციის ჩატარებისას „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის №28 ბრძანების თანახმად, ეკოლოგიური ექსპედიციისას უნდა მომხდარიყო „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მისი არსებობის პირობებზე, ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მდგომარეობაზე და ტერიტორიის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაზე განზრახული საქმიანობის შედეგების მოსალოდნელი ზეგავლენის დადგენა“ - რასაც ადგილი არ ჰქონია.

8. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია - საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში“;

9. ასევე, „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი და ამავე კანონის მე-5 მუხლით დადგენილი თითქმის ყველა პრინციპი. კერძოდ:

ა) „რისკის შემცირების პრინციპი“ – საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

ბ) „მდგრადობის პრინციპი“ – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;

გ) „პრიორიტეტულობის პრინციპი“ – ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრიკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს;

ვ) „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი“ – საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას;

ზ) „ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი“ – საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;

კ) „გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრინციპი“ – საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის პროექტირების ან დაგეგმვის დროს ვალდებულია გაითვალისწინოს და შეაფასოს ამ საქმიანობის შესაძლო ზემოქმედება გარემოზე კანონით დადგენილი წესით;

ლ) „გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობის პრინციპი“ – უზრუნველყოფილია საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრიობის მონაწილეობა;

10. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;

ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ არ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება ადამიანების ჯანმრთელობისათვის უვნებლობის თვალსაზრისით, სამინისტრო სრულად დაეთანხმა საქმიანობის განმახორციელებლის მტკიცებას, იმის შესახებ, რომ ელექტრომაგნიტული ველების უარყოფითი ზემოქმედების თავიან ასაცილებლად საკმარისია 30 მეტრიანი ბუფერული ზონა. საინტერესოა, რომ თავისი პოზიციის დასაცავად საქმიანობის განმახორციელებელი ეყრდნობა ორ დოკუმენტს:

1. “ელექტრო ალჭურვილობის ინსტალაციის წესები” (ენერგეტიკის სამინისტრო 1987) - გაუგებარია, რა სტატუსის მქონე დოკუმენტია; და

2. პრეზიდენტის ბრძანება [სტილი დაცულია] №964 (დათარიღებული 2009 წლის 27 დეკემბრით) - ძალადაკარგულია 25/12/2013-დან.

11. ასევე, ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად მოყვანილია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 1998 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები; თუმცა, არ არის მითითებული, რომ დოკუმენტის პირველივე აბზაცში წერია, რომ სახელმწიფოები თავად უნდა არეგულირდნენ საკითხს და სახელმძღვანელო დოკუმენტი არის ზოგადი და არ არის მორგებული კონკრეტულ სიტუაციებზე. სახელმძღვანელო დოკუმენტი არ ითვალისწინებს ზეგავლენას კონკრეტული დაავადებების მქონე ადამიანების სიახლოვეს გადამცემ ხაზებთან. მაგალითად, გულის აპარტით ადამიანებისათვის ელექტროგადამცემ ხაზებთან სიახლოვე დამლუპველია. ამიტომაც, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია სახელმწიფოებს ურჩევს ე.წ. წინდახედულობის პრინციპით მოქმედებას.

დოკუმენტში უაპელაციოდ არის აღნიშნული, რომ „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ელექტრომაგნიტური ველის კვლევების თავისი უახლესი მიმოხილვა 2007 წლის ივნისში და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ელექტრომაგნიტური ველი არ იწვევს რაიმე გრძელვადიან ჯანმრთელობისთვის საზიანო ეფექტებს“. მოყვანილი ინფორმაცია, რა თქმა უნდა არ შეესაბამება სინამდვილეს.

აღსანიშნავია, რომ 12/07/2007-მდე საქართველოში მოქმედებდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №234/ნ ბრძანება „საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებისა და სანიტარიული კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, საჭაერო ელექტროგადამცემის ხაზებით წარმოქმნილი ელექტრული ველის გავლენისაგან მოსახლეობის დაცვის მიზნით დგინდება სანიტარიული დაცვის ზონები. საჭაერო ელექტროგადამცემის ხაზების სანიტარიული დაცვის ზონას წარმოადგენს მაღალი ძაბვის გადამცემების ტრასის მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც ელექტრული ველის დაძაბულობა აღემატება 1 ვ/მ-ს. დასაბრუნებელი 500კვტ-750კვტ-მდე ძაბვის საჭაერო ელექტროგადამცემის ხაზების ღერძიდან დასახლებულ პუნქტამდე უახლოესი მანძილი, უნდა იყოს არანაკლებ 250 მეტრისა. ბრძანება 2007 წელს იმ მიზეზით გაუქმდა, რომ უნდა მომხადრიყო მისი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ კანონთან ინტეგრირება, მაგრამ კანონის მიღების შემდეგ გაირკვა, რომ საკითხი დაურეგულირებელი დარჩა; თუმცა, დაწესებული ნორმების სანდობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

დღეს მოქმედი ნორმებიდან საკითხს არეგულირებს მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №347 დადგენილება „ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ელექტრომოწყობილობების ელექტროსამონტაჟო და გაწყობის სამუშაოების წარმოების დროს უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“. თუმცა, დასახლებული წესები ეხება თავად ელექტროგადამცემი ხაზების უსაფრთხოებას და მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის (რომელიც მცირე დროით იმყოფება ზეგავლენის ქვეშ) უსაფრთხოებას და არ ეხება ხაზებთან ხანგრძლივი პერიოდის განვალბაში და/ან მუდმივად სიახლოვეში ყოფნის წესებს.

ამდენად, გაუგებარია რით იხელმძღვანელა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, როდესაც დაგეგმილი საქმიანობა შეაფასა, როგორც ადამიანების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

2. სასარჩელო მოთხოვნა

ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილება, რომლითაც განუხილველად იქნა დატოვებული ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას", ზაზა წიკლაურის, შოთა ბურჯუაძის ადმინისტრაციული საჩივარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს მთავრობამ განუხილველად დატოვა ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივა"-ს, ზაზა წიკლაურის, შოთა ბუჩუკურის ადმინისტრაციული საჩივარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ ფორმალურ სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რასაც არ უარყოფს და ეთანხმება მოპასუხე სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (იხ. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილების ბოლო წინადადება).

ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს მთავრობამ 2016 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილება დააფუძნა "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის 7.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტს, რომლის თანახმად ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებელს უფლება აქვს: ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. მითითებული ნორმის შინაარსიდან დაასკვნა, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის №0-260 ბრძანების კანონიერების საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება სასამართლოს კომპეტენციას, რის გამოც სზაკ-ის 185-ე, 80.4 მუხლის საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რაც კანონსაწინააღმდეგოა და ექვემდებარება ბათილად ცნობას შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული საჩივარი არის დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომ ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

მაშასადამე, ადმინისტრაციულ საჩივარს აქვს ორი ძირითადი ფუნქცია: 1. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება; 2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თვითკონტროლის განხორციელების შასაძლებლობა. ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც უფლების დაცვის საშუალება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს გააჩნია უპირატესობა, კერძოდ, ადმინისტრაციულ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მოწმდება გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა და კანონიერება, მაშინ როდესაც სასამართლო იფარგლება აქტის მხოლოდ კანონიერების შემოწმებით. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას, რომელიც თავის თავში მოიცავს აქტის, როგორც ფორმალური, ისე მატერიალური კანონიერების გადამოწმებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალების სრული

მასშტაბით გამოყენებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია, რომელიც უხეშად არის უგულებელყოფილი მოპასუხე საქართველოს მთავრობის მიერ განსახილველ შემთხვევაში.

იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელების მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრებული იყო საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი სამინისტროს - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260, რომლის ზემდგომ ორგანოს წარმოადგენს "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 4.1 მუხლის, სზაკ-ის 178.2 მუხლის თანახმად წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, რომელმაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არასწორად, უკანონოდ დატოვა განუხილველად წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი, შესაბამისად არ განახორციელა მინიჭებული საჯარო უფლებამოსილება კანონის შესაბამისად.

საყურადღებოა ისიც, რომ თვით გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის №ი-260 ბრძანებით განმარტებულია მისი გასაჩივრების წესი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. რატომ უნდა გასაჩივრების წესის ამგვარად განმარტება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეწინააღმდეგება სზაკ-ის 178.3 და სასკ-ის 2.5 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. მოსარჩელებმა მოქმედი მატერიალური და პროცესუალური ნორმების სრული დაცვით მოახდინეს დარღვეული უფლების დაცვა თავდაპირველად ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც კანონსაწინააღმდეგოდ თავი აარიდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას "ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის 7.1 მუხლის "ბ" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, რომლითაც განსაზღვრულია ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების სფეროში საქმიანობის განმახორციელებლის უფლება აქვს - ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული დავის წამოჭრის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს. განსახილველ შემთხვევაში კი ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ საქმიანობის განმახორციელებლებს, შესაბამისად მითითებული ნორმის გავრცელება სადავო ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ეწინააღმდეგება ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს კანონის უზენაესობისა და მმართველობის კანონიერების შესახებ.

საგულისხმოა, ისიც, რომ სზაკ-ის 185-ე მუხლის და 80.4 მუხლის შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, რაც არასწორია და უკანონო ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება გადაწყვეტილება მიეღო ადმინისტრაციული საჩივრის მიღებიდან 5 დღის ვადაში, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია 2016 წლის 10 ოქტომბერს.

სასკ-ის 22-ე, 32-ე მუხლები.

3. სასარჩელო მოთხოვნა

მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები:

მტკიცებითი უზამდგომლობები

შენიშვნა-20

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-21

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-22

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1. დაევალოს მოპასუხეებს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები სრულად.

შენიშვნა-23

სსპა სახის უზამდგომლობები

შენიშვნა-24

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას?

დიახ	<input type="checkbox"/>	ვის?	რომელი ენის მცოდნე?
არა	<input checked="" type="checkbox"/>		

სარჩელის ფასი

შენიშვნა-25

— არაქონებრივი ღარი

სახელმწიფო ბაჟი

შენიშვნა-26

— 100 ლარი

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი

სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, საზინის ერთიან ანგარიშზე:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? ღიას არა

რომელი ნორმა?

მტკიცებულება:

2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? ღიას არა

რის საფუძველზე?

მტკიცებულება:

შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:

5.

შენიშვნა-27

გამოიყენეთ თუ არა, სასამართლოსათვის მომართვამდე, ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა?

ღიას მტკიცებულება: ადმინისტრაციული საჩივარი (იხ.სარჩელის №7 დანართი)

არა რადგან

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

- » რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
- » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
- » სასამართლო ხარჯები;
- » სასამართლოსგარეშე ხარჯები;
- » ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

ღიას მორიგების პირობები:

არა რადგან დავის საგნიდან გამომდინარე შეუძლებელია.

შენიშვნა-28

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ

არა

რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მხარეებისათვის.

შენიშვნა-29

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

25 წუთზე მეტი რადგან მხარის პოზიციის დასაბუთებისათვის საჭიროა 25 წუთზე მეტი.

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან ერთ სხდომაში დავის დასრულება გონივრულია.

შენიშვნა-30

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-31

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი:

14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ

არა

რადგან

შენიშვნა-32

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-33 შენიშვნა-34

- დანართი №1. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზისთვის წარდგენილი მასალები - ელ. ვერსია;
 - დანართი №2. შეხვედრის ოქმი და ვიდეო ჩანაწერი - ელ. ვერსია;
 - დანართი №3. სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული განცხადება, შეხვედრის ოქმი და ვიდეო ჩანაწერი - ელ. ვერსია;
 - დანართი №4. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა - ელ. ვერსია;
 - დანართი №5. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის ბრძანება №ი-260 - ელ. ვერსია;
 - დანართი №6. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2016 წლის 14 ივნისის № 4656 წერილი - ელ. ვერსია;
 - დანართი №7. 2016 წლის 14 ივლისის ადმინისტრაციული საჩივარი - 16 ფურცელი;
 - დანართი №8. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 10 ოქტომბრის №37068 გადაწყვეტილება - 2 ფურცელი;
 - დანართი №9. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
 - დანართი №10. რწმუნებულებები - 2 ფურცელი;
 - დანართი №11 ზ. წიკლაური და შ. ბუჩუკურის პირადობის მოწმობის ასლები - 2 ფურცელი;
 - დანართი №12. სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი - 1 ფურცელი.
- ფურცლების საერთო რაოდენობა: 25 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი

სარჩელის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სარჩელის ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) მხარეს. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სარჩელზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სარჩელი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	მითითებულია თქვენი (მოსარჩელის), თქვენი (მოსარჩელის) წარმომადგენლის და მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.	მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.	მითითებულია დავის საგანი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.	მითითებულია სარჩელის ფასი.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.	მითითებულია თქვენი (სასარჩელო) მოთხოვნა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
8.	მითითებულია სარჩელისათვის თანდართული საბუთების ნუსხა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
9.	სარჩელს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
10.	სარჩელს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
11.	მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
12.	სარჩელს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს).	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
13.	სარჩელი ხელმოწერილია.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
14.	სარჩელი და თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

სარჩელი ფორმალურად გამართულია:	სარჩელი ფორმალურად არაა გამართული:	<i>ხელმოწერა</i>	<i>სახელი და გვარი</i>
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/> <i>პუნქტების ჩამონათვალი</i>		

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას აღმასრულებელი დირექტორი - ნინო გუჯარაიძე შოთა ბუჩუკური ზაზა წიკლაური	11/11/2016 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი და გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.